ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

15 (9955) • 23 aprili • 2012 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ოზურგეთში ჯუმბერ დუნდუას სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა

მარი კოძოევი

ოზურგეთში ცნობილი ხელოვანის, ქორეოგრაფ ჯუმბერ დუნდუას სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა.

ვარსკვლავის გახსნის ოფიციალურ ცერემონიამდე სახვითი ხელოვნების ცენტრში–სურათების გალერეა ჯუმბერ დუნდუას შემოქმედებისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიმართა. გამოფენა სრულად ასახავდა ქორეოგრაფის განვლილი გზას დღემდე. წარმოდგენილი იყო ფოტომასალა ხელოვანის და ანსამბლ „გურიას“შესახებ, რომელსაც წლების მანძილზე თავად ხელმძღვანელობდა. აქვე იყო წარმოდგენილი ყველა ის ჯილდო, რომელიც ანსამბლსა და მის ხელმძღვანელს წლების მანძილზე უგროვებიათ.

გალერეის შემდეგ ჯუმბერ დუნდუას მეგობრებმა, ახლობლებმა, ხელისუფლების წარმომადგენლებმა და გულშემატკივრებმა სახელმწიფო თეატრში გადაინაცვლეს, სადაც ანსამბლ „გურიას" კონცერტი გაიმართა. მოცეკვავეებმა 17 ცეკვა შეასრულეს, მაყურებლებისგან მოწონება და ბევრი აპლოდისმენტები დაიმსახურეს. კონცერტს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, კულტურის მინისტრი ნიკა რურუა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი ესწრებოდნენ.

ჯუმბერ დუნდუა: დღევანდელი დღე არის ჩემთვის საოცრება, არაჩვეულებრივი და ძალიან თბილი. მინდა მოგესალმოთ ჩემი ოზურგეთლებო და გითხრათ მადლობა რომ მობრძანდით, დამფასეთ, ნახეთ ჩვენი ნაშრომი და ნაღვაწი. მადლობა ამ შესანიშნავი საღამოსთვის. გაძლევთ პირობას, რომ არ დავიშურებ ძალას, ღონეს და თავდაუზოგავად ვიშრომებ. ჩვენთან გაზრდილმა 24 მოცეკვავემ იცეკვა სუხიშვილის ანსამბლში, 15 – „ერისიონში“. მე მინდა, რომ ფრიდონ სულაბერიძის ანსამბლიც დაამშვენოს ჩვენმა მოცეკვავეებმა, იმიტომ, რომ ბატონ ფრიდონს უაღრესად დიდ პატივს ვცემ.

კონცერტის მსვლელობისას ერთი ინციდენტიც მოხდა. სცენასთან ახლოს, კედლიდან ბათქაში ჩამოვარდა. ამ ფაქტმა იქ მყოფ მინისტრებს გადაწყვეტილება მიაღებინა, რომელიც შემდეგ სცენაზე გაახმოვანეს. ოზურგეთელებს ორივე მინისტრი ერთად დაპირდა, რომ ახლო მომავალში აწუწუნავას სახელობის დრამატულ თეატრს გაარემონტებენ.

კონცერტის დასრულების შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯუმბერ დუნდუას ვარსკვლავის გახსნა მიულოცეს და მის დამსახურებებზე ისაუბრეს.

ვალერი ჩიტაიშვილი: ალბად ცეკვის დროს მაყურებლის ოვაციები, შესახილები მეტყველებს ყველაფერზე. მიხარია, რომ დღეს აქ ვარ, მიხარია რომ ვიცნობ, ვმეგობრობ, ვთანამშრომლობ ბატონ ჯუმბერთან. როცა ანსამბლი 10-15 წევრი სხვადასხვა მიზეზის გამო ტოვებს ანსამბლს და მათ ნაცვლად მოდიან სხვები, ახლები და ანსამბლს არ იცვლება, არცერთ რეპუტაციას არ ჩაგდებს, ეს არის ბატონი ჯუმბერის დამსახურება. ეს არის მისი სიძლიერე. მინდა მივულოცო მას დღევანდელი დღე.

ნიკოლოზ რურუა: პატივცემულო ოზურგეთლებო, ჩემთვის ძალიან დიდი პატივია დღეს ვიყო აქ, ძალიან მნიშვნელოვან და დიდ ღონისძიებაში ვიღებ მონაწილეობას. ბატონი ჯუმბერი 55 წელზე მეტია ემსახურება ქართულ ქორეოგრაფიას ისე კარგად, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი ქორეოგრაფიის ისტორიაში ცოტა ადამიანები. ის არის ნამდვილი პედაგოგი, ამასთან თვითონ იყო შესანიშნავი მოცეკვავე და სოლისტი. ჩამოსვლის წინ დამატებითი ცნობებისთვის ველაპარაკე სუხიშვილებს, რომლებისგანაც მინდა გადმოგცეთ დიდი მოკითხვა და დიდი სიყვარული. ბატონი ჯუმბერი თვითონ არის ვარსკვლავი ქართული ცეკვისა. მე ვიცოდი, რომ „გურია“ იყო კარგი ანსამბლი, მაგრამ დღეს აქ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა.

რამაზ ნიკოლაიშვილი: ყველაზე მთავარი ადგილი დღეს საქართველოში არის ის, სადაც ჩვენ ვიმყოფებით. ასეთი დღეები სამწუხაროდ ბევრი არ არის. ჩვენ დღეს ყველამ ერთად გავახარეთ ჩვენი უსაყვარლესი, ღირსეული ადამიანი. მე დარწმუნებული ვარ დუნდუაზე ნიჭიერი ადამიანები არსებობდა გურიაში, მომავალშიც იარსებებენ, მაგრამ დღეს თუ ვინმე გურიაში კარგ, გურულ საქმეს აკეთებს ეს არის დუნდუა. მე და ნიკამ ერთდროულად მივიღეთ გადაწყვეტილება რომ შვეიცარიაში საქართველოს დღეები როცა გაიმართება, ეს ბავშვები გავუშვათ.

თეატრის საკონცერტო დარბაზიდან გამოსვლის შემდეგ ჯუმბერ დუნდუას სახელობის ვარსკვლავის გახსნის ცერემონია ჩატარდა. ვარსკვლავის გახსნა ხელოვანს ცნობილმა ქორეოგრაფებმა ომარ მხეიძემ და ფრიდონ სულაბერიძემ მიულოცეს.

აღსანიშნავია, რომ რეგიონებს შორის გურია პირველია, სადაც ხელოვნების მოღვაწის სახელობის ვარსკვლავი გაიხსნა.

ოზურგეთში იუსტიციის სახლი გაიხსნა

გაზეთი „ალიონი“

13 აპრილს, ქ.ოზურგეთში იუსტიციის სახლი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრი რამაზ ნიკოლაიშვილი, განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

საქართველოს პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა მოსახლეობას და საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე ესაუბრა. მან აღნიშნა ქ. ოზურგეთში, ბახმაროში და ურეკში განსახორციელებელ პროექტებზე.

შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი ქალაქის მთავარ მოედანზე შეკრებილ მოსახლეობას ესაუბრა, სარემონტო სამუშაოები მოინახულა, დიმიტრი შაშკინთან ერთად პროფესიული გადამზადების ცენტრი „ჰარმონია“გახსნა და „მედ-ალფას“კლინიკა მოინახულა.

ოზურგეთის იუსტიციის სახლში ზაფხულში სტუდენტები დასაქმდება

გაზეთი „ალიონი“

სტუდენტური დასაქმების პროექტის ფარგლებში, 168 სტუდენტი იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრი სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში დასაქმდება, მათ შორის სამი–ოზურგეთში.

აღნიშნული პროგრამის თაობაზე განცხადება, გასულ პარასკევს ოზურგეთის იუსტიციის სახლში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გაბრიელაშვილმა გააკეთა. მანვე იუსტიციის სახლში ადგილობრივ ახალგაზრდებს უმასპინძლა და სისტემაში გატარებული რეფორმებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

გიორგი გაბრიელაშვილმა ახალგაზრდებს საინფორმაციო ტური ჩაუტარა და იუსტიციის სახლის კონცეფცია გააცნო.

მოსახლეობამ კიტა მეგრელაძის ქუჩა გადაკეტა

18 აპრილს, ქ. ოზურგეთში, ასამდე ადამიანმა კიტა მეგრელაძის ქუჩა გადაკეტეს. ისინი ამ ქუჩის მოსახლეობის გაუსაძლის პირობებს აპროტესტებდნენ.

ქუჩის მცხოვრებლებთა უპირველესი პროტესტი „ბლექ სი გრუპის“ მძიმეწონიანი მანქანების მოძრაობა გახლავთ, რომლებიც კიტა მეგრელაძის ქუჩის გავლით მდინარე ნატანების ხეობიდან ინერტულ მასალას ეზიდებიან. ასევე მათი პრობლემა ქუჩის მოუწესრიგებლობის გარდა წყალი და გზიცაა.

კიტა მეგრელაძის ქუჩის მცხოვრებლებს შეხვდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ალეკო მამეშვილი, გამგებელი ილია ვაშყმაძე. ისინი მოსახლეობას არსებული პრობლემების მოგვარებას შეპირდნენ.

მოსახლეობა კმაყოფილი შეხვდა მუნიციპალიტეტის თავკაცების დასაბუთებულ შეპირებას და ამის შემდეგ აქცია შეწყდა.

7 დღის ამინდის პროგნოზი

23 აპრილი ორშაბათი	24 აპრილი სამშაბათი	25 აპრილი ოთხშაბათი	26 აპრილი ხუთშაბათი	27 აპრილი პარასკევი	28 აპრილი შაბათი	29 აპრილი კვირა
წვიმა, ღრუბელი +9+17	მზე +12+19	მზე +13+21	წვიმა ღრუბელი +11+19	წვიმა +13+18	წვიმა +14+19	მზე +15+21

ოზურგეთმა პასქის ფესტივალს უმასპინძლა

მარი კოძოევი

19 აპრილს ოზურგეთმა პასქის ფესტივალს უკვე მეორედ უმასპინძლა. „ჭადრების ბაღში“ გამოტანილ სუფრებზე მონაწილეებმა საკუთარი ფანტაზიით მორთული სააღდგომო ნობათი გამოფინეს. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სააღდგომო სუფრის აუცილებელი ატრიბუტების კომპოზიცია, პასქა, ჯეჯილი, წითელი ღვინო, შეღებილი კვერცხები და ნებისმიერი დანამატი, რაც ავტორის აზრით კომპოზიციას დაამშვენებდა.

ფესტივალი დეკანოზ ბასილ კვირჩილაძის მილოცვით და შეკრებილი საზოგადოების დალოცვით გაიხსნა. ოზურგეთის საკათედრო ტაძრის მგალობლებმა საგალობელი იგალობეს. შემდეგ ქართული ფოლკლორის ჯერიც დადგა. ფოლკლორულმა ანსამბლებმა რამდენიმე კარგად ნაცნობი, ტრადიციული სიმღერები შეასრულეს. სტუმრების წინაშე რამდენიმე ნომრით წარსდგენენ გურიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრის ბენეფიციარები, რომლებიც ასევე ფესტივალის მონაწილეები იყვნენ.

ფესტივალში მონაწილეობას რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტიდან იღებდნენ.

შარშანდელის მსგავსად გრამპრი წელსაც ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა მოიპოვა. რაც შეეხება დანარჩენ საპრიზო ადგილებს და ნომინაციებს:

I ადგილი-ნინო მენაბდე; II ადგილი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი; III ადგილი-№2 სკოლა; ნოვატორული კომპოზიცია-დღის ცენტრი „ცისკრის ვარსკვლავი“; საუკეთესო გემო-№1 საჯარო სკოლა; ნორჩი კულინარ-დიზაინერი-ვალერია შარაშიძე; პიკანტური გემო-ოზურგეთის თეატრი; ტრადიციული კომპოზიცია-მარიამ კვირჩილაძ;. ფესტივალის სტუმარი–პოლონელი მოხალისეები; სპეციალური პრიზი-შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრი; ფესტივალის აღმოჩენა-გიორგი კონტრიძე; ორიგინალური კომპოზიცია–აჭის დედათა მონასტერი; ნორჩი მამაკაცი კულინარი-ლუკა კვირჩილაძე; ელეგანტური კომპოზიცია-მარინა დუმბაძე; ფესტივალის მეგობრები-მაია დილოძე, ეკატერინე მესაბლიშვილი; ქველმოქმედი-შ.პ.ს. „ვასაძის საცხობი?.

გამოვლინდა ხალხის სიმპათიაც-ერკეთის დედათა მონასტერი სტუმრების რჩეული გახდა.

ასევე დაჯილდოვდნენ ლია ინწკირველი, მაია თავამაიშვილი, „ქალები რეგიონის განვითარებისთვის“, ჯუმათის საჯარო სკოლა, ვაკიჯვრის საჯარო სკოლა.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. შემოწირულობების სახით შეგროვილი თანხა და სააღდგომო ნობათი შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცათ.

ფესტივალში მონაწილეობა შეეძლოთ როგორც კერძო პირებს ასევე ორგანიზაციებს.

ფესტივალის იდეის ავტორი და ორგანიზატორია **ლალი კილაძე.** საორგანიზაციო ჯგუფია: **ახალგაზრდული ინიციატივა, ოზურგეთის საკათედრო ტაძარი, ოზურგეთის, ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები.**

ფესტივალი შემოქმედელი მიტროპოლიტის, **მეუფე იოსების** ლოცვა-კურთხევით ჩატარდა.

„აბი გლუკოზას“ წარმატება

მარი კოძოევი

ოზურგეთის №2 საჯარო სკოლაში დაძაბული სამთაბრძოლა გაიმართა. ერთმანეთს ეპაექრებოდა XI-ა კლასის „ვერელები“ (დამრიგებელი ვერა ჩანტლაძე, კაპიტანი დემეტრე ლომაძე), XI-ბ „აბი გლუკოზა“ (ირმა ჭეფხოძე, ანა ჯაფარიძე), და XI-გ „აკიდო“ (ხათუნა ქილიფთარი, ნანა ქურდიანი). სამთავე გუნდის სცენატის ავტორი და ღონისძიების წამყვანი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მაია ღლონტი გახლდათ. გუნდები შეფასდნენ ფორმირების, ავტოპორტრეტის, გუნდური და კაპიტნების ინტელექტუალური შესაძლებლობების მიხედვით. საინტერესო და იუმორით დატვირტული იყო მეორესკოლელი მსახიობების გამოსვლა. ჟიურის (თავმჯდომარე ირინა ინარიძე) გაუჭირდა საუკეთესო გუნდის დასახელება. ჟიურის წევრმა ზაზა ჯინჭარაძემ გამორჩეულ გუნდად „აბი გლუკოზა“ დაასახელა. მეორე ადგილზე გავიდნენ „ვერელები“. სიხარულს ვერ მალავდა ქნი ირმა, რომელსაც სადამრიგებლო კლასმა ქორწინებიდან 20 წლისთავი გამარჯვებით მიულოცა.

მარინა ჯაფარიძე, სკოლის დირექტორი: –მიხარია, რომ კარგი შეჯიბრი გამოვიდა. ალბათ მანსანკანი გურიაში პოპულარული გახდება.

„კურორტ ბახმაროს სერიოზული საფრთხე შესაძლოა დაემუქროს“.

კოალიცია "ქართული ოცნების" ოზურგეთის ერთ-ერთი ლიდერმა თემურ სალუქვაძემ ბრიფინგები გამართა, სადაც მან განაცხადა:



ჩვენ, საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ, თუ რა შედეგი მოგვიტანა ხელისუფალთა ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებებმა. ასეთი გადაწყვეტილებები გამოირჩევა ხოლმე პოპულიზმითა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებით. ეს კი ძალიან ძვირად უჯდება ჩვენს ქვეყანასა და მოსახლეობას. ზოგ შემთხვევაში ეს ყველაფერი შესაძლოა ძვირად დაუჯდეს ჩვენს მომავალ თაობასაც კი. ამიტომაც აუცილებლად ვთვლით გამოვხატოთ ჩვენი პოზიცია ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. საკითხი ეხება მდინარე ბახვისწყლის ხეობაში მიმდინარე 5 კასკადური ჰესის მშენებლობას.

ჰესების მშენებლობას დიდი ეკონომიკური მოგება მოაქვს სახელმწიფოსათვის, მაგრამ ყოველთვის დგას საკითხი, დადებითთან ერთად, თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს ბუნებაზე აქტიურმა ზემოქმედებამ.

როგორც ექსპერტები ამბობს, ხელისუფლების დაუფიქრებელი და გაუწონასწორებელი გადაწყვეტილების შედეგად, მსოფლიო დონის კურორტ ბახმაროს, რომელიც შავი ზღვის დონიდან 2250 მეტრზე მდებარეობს, სერიოზული საფრთხე შესაძლოა დაემუქროს.

სპეციალისტები "ეკოლოგიური სამართლის ცენტრისა," ასევე "საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები საქართველოს" ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აღნიშნული ჰესების მშენებლობა შეცვლის ხეობაში არსებულ კლიმატს, რაც ბახმაროს, როგორც კურორტის, ფუნქციის დაკარგვას გამოიწვევს. ჰესების მშენებლობისას უნდა გაიჩეხოს 10 ჰექტარზე მეტი ტყის მასივი, შესაძლოა განადგურდეს ბიომრავალფეროვნება - ფლორისა და ფაუნის იშვიათი და ენდემური სახეობები, რომელთა უმრავლესობაც წითელ ნუსხაშია შეტანილი. ამ კაშხალის აგებით შეიქმნება ასევე დიდი ხელოვნური ტბა, რაც გამოიწვევს თავისთავად კლიმატურ ცვლილებებს.

ასევე ჰესების მშენებლობა მოითხოვს ინერტულ მასალებს, როგორც იცით უკვე საკმაოდ ბევრი ინერტული მასალის ამოღება მოხდა მდინარე ნატანებიდან, ეს თავისთავდ ბუნებაზე ზემოქმედებაა.

ეკონომიკიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისითაც კი, როგორც ამას ექსპერტები ამბობენ, ნაკლებად ეფექტურია ის ჩვენთვს, რადგან ჰესების მშენებლობა არა საქართველოს, არამედ თურქული მხარის ინტერესებს გამოხატავს, ვინაიდან ჰესები თურქულ კომპანიას გადაეცა მუდმივ მფლობელობაში და დაბალ ფასად ენერგიაც სწორედ თურქეთში გავა. ხოლო საქართველოს მოსახლეობა ენერგიაში იმავე ტარიფს გადაიხდის, რომელსაც ახლა იხდის.

საკითხი არის ძალიან რთული, მოითხოვს სერიოზულ შესწავლას და ღრმა ანალიზს. რეგიონალური თუ რაიონული ხელისუფლება ვალდებულია თავისი მხარის წინაშე გამოთქვას არგუმენტირებული პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, რომ მათ უნდა ჩართონ სხვდასხვა დარგის უმაღლესი დონის სპეციალისტები, საკითხი შესწავლილ იქნას მრავალმხრივ, საფუძვლიანად და საზოგადოებას ამცნონ დეტალური ინფორმაცია ამასათან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებზე პასუხისმგებლობას გაიზიარებს ყველა ხელმძღვანელი, მათ შორის სამხარეო, ადგილობრივი თუ მიზნობრივი დარგების ჩათვლით.

„ ეს არ არის ადამიანთა მოსყიდვა ხელისუფლების მხრიდან?!“

ხელისუფლების მიერ ბოლო პერიოდში მიღებული კანონები, რომელიც არის ფაქტიურად დისკრიმინაციული პოლიტიკური პარტიების მიმართ და ყოველგვარ დახმარებას, კეთილშობილურ საქმეს მოსახლეობისადმი აღიქვამს კანონდარღვად ან ამომრჩევლის მოსყიდვად, ის რეალურად წარმოადგენს მიზანმიმართულ აქტს ალტერნატიული ოპოზიციური პოლიტიკური გაერთიანების მიმართ.

თუ მივადევნებთ თვალყურს ხელისუფლების მიერ ფარულად თუ ნახევრად ფარულად მოწყობილ შეხვედრებს, რომელიც ყოველდღიურად შუქდება ობიექტური ტელესაშუალებების მიერ, ასევე შეხვედრებს მოსახლეობასთან, სხვადასხვა სფეროს წარმოამდგენლებთან, გამართული ვახშმებსა თუ ლანჩებს, თურმე მოსყიდვა არ არის. (?!) თანაც ეს ყველაფერი კეთდება საბიუჯეტო სახსრებით. კონტროლის პალატა კი რომლის უშუალო ფუნქციაა აკონტროლოს საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა, ამაზე სდუმს და არაფერს ამბობს. ხოლო რა მოიმოქმედა მან ბოლო პერიოდში, თუნდაც გურიაში გაზეთების დარიგებასა და ხელმოწერების შეგროვებასთნ დაკავშირებით, ყველამ კარგად იცის. ასეთი ყალბი შეფარული მეთოდებით მუშაობს არსებული ხელისუფლება და ემზადება არჩევნებისათვის. თუ ამ ყველაფერს გადმოვიტანთ ოზურგეთის სიბრტყეში, რას გვეუბნება გარკვეული ანალიზი?

მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, ჩვენ ყოველთვის ვსვამდით ა(ა)იპ-ების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობის საკითხს. კარგია, ასეთი სამართლებრივი ფორმა, თუ კი ეს ემსახურება კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს, სწორად ხორციელდება მენეჯმენტი და თუ კი მას გარკვეული შედეგობრივი ეფექტი მოაქვს. ხოლო რა გვაქვს სახეზე? უამრავი ჩამოყალიბებული ა (ა)იპ-ი, რომლებიც ფუნქციონალურად ერთმანეთს ფარავს და ხელისუფლებისგან უმიზნოდ, უფუნქციოდ დასაქმებული ხალხი. ფაქტიურად ა (ა)იპ-ები იქცა, ხშირ შემთხვევაში არჩევნებში გამოსაყენებელ ადამიანთა თავშესაფრად. ისინი ხომ ის პოტენციური ადამიანები არიან, რომლის გამოყენებასაც ფიქრობს ხელისუფლება საარჩევნოდ. ხოლო არჩევნების შემდეგ მათ უმრავლესობას უსამსახუროდ და უსახსროდ დარჩენა ემუქრება ხელისუფლების მხრიდან. აქ ხდება ელემენტარულად მათი მატერიალური დაინტერესება. ეს არ არის ადამიანთა მოსყიდვა ხელისუფლების მხრიდან?!

ჩვენ ხმამაღლა ვამბობთ, რომ კოალიცია "ქართული ოცნების" ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა არის ადამიანთა დასაქმება. მაგრამ ეს უნდა მოხდეს რეალური სამუშაო ადგილების გაჩენითა და დოვლათის შექნით სხვადასხვა სფეროში. ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლის პირველივე დღიდანვე შევუდგებით ამ მიზნის განხორციელებას.

ამიტომაც მე, როგორც საკრებულოს დეპუტატს, „თავისუფალ დემოკრატს და კოალიცია "ქართული ოცნების" წევრს, მართებულად მიმაჩნია ვუთხრა თითოეულ ადამიანს:– აი, ამ დროებით სიყალბესა და სიცრუეში ყოფნას, სჯობს ჩაერთონ საქართველოს კეთილდღეობისთვის მებრძოლ რეალურ გუნდში, რათა ყველამ ერთად მივაღწიოთ ამ ძალის ჩამოშორებას ხელისუფლებიდან და ერთად დავიწყოთ რეალური სამუშაო ადგილების შექმნა, ხელმისაწვდომი გავხადოთ ჯანდაცვა და განათლება, გავათავისუფლოდ მედია და სასამართლო პოლიტიკური წნეხისგან, ავაღორძინოთ სოფელი და აღვადგინოთ სამართლიანობა.

ასევე მინდა ვთხოვო ყველას, დიდი ყურადღებით გაეცნონ საქართველოს პატრიარქის საღდგომო ეპისტოლეს, სადაც ბრწყინვალედ არის ასახული ჩვენი რეალობა და ქვეყნის საკეთილდღეოდ გადასადგმელი ნაბიჯები.

გვახსოვდეს ჩვენი ისტორია

არქეოლოგიური გათხრების ადგილი გადაიხურება, მაგრამ...

17 აპრილს, ჯუმბერ დუნდუას ვარსკვლავის გახსნაზედ ჩამოსულმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკა რურუამ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ რამაზ ნიკოლაიშვილთან ერთად მოინახულა არქეოლოგიური ძეგლი და ვაჟა სადრაძეს შეპირდნენ, რომ დაეხმარებოდნენ გათხრების I ეტაპის დასრულებაში და შემდეგ ძეგლს მინით გადახურავენ.

ნამდვილად კარგია და მისასალმებელია, რომ საქმე ადგილიდან დაიძრა და მომავალში ოზურგეთის ისტორია შეიძლება ახლებურად დაიწეროს, მაგრამ კვლავ ახალი პრობლემა.

როგორც იცით, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ (ჭანტურიას ქუჩის მხარე) II მსოფლიო ომის გმირების ბიუსტები აიღეს. მაშინ ითქვა, რომ მუზეუმის კუთხეში ტუალეტი აშენდებოდა. ახლახან ინტერნეტით გავრცელდა ცნობა, რომ საქართველოს ყველა რეგიონში ევროპული სტანდარტის 50-მდე სანიტარული წერტილი აშენდება.

სანიტარული წერტილი კარგია, მაგრამ რა მაინცდამაინც მუზეუმის წინ, და იქ, სადაც სავარაუდოდ უნდა იყოს გურიელების სასახლის მიწისქვეშა ნაგებობების შესასვლელი. ნებისმიერი ნაგებობა ამ ადგილზე დაუშვებელია.

მშენებლებმა უკვე დასცეს ბარი...

რომაული აბანოების აღმოჩენისა და არქეოლოგების მიერ დაწყებული გათხრების შესახებ საზოგადოება ინფორმირებულია. მიუხედავად იმისა, ჯერ კომუნისტებმა 1957, 1978-80 წლებში მნიშვნელოვნად დააზიანეს ეს ისტორიული ძეგლი და სამწუხაროდ, იუსტიციის სახლის მშენებლობისასაც უხეშად შეეხნენ მას, გათხრები დაიწყო. გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელ-ლი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა სადრაძე) მოკლე დროში მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა.

გვაბრათის ციხე

ზემო გურიას ორი გვაბრათის ციხე ჰქონდა. ერთი სუფსის ხევის გამოსავალში „გურის ტბის“ თავზე, ხოლო მეორე– ბახვის წყლის ხევის გამოსავალში.

ეს იყო II –I ათასწლეულთა მიჯნაზე. მოგვიანებით, როდესაც სატომო-სანათესაო ურთიერთობა სხვა სოციალური ფენომენით შეიცვალა და დასავლეთ საქართველოში სვანურისა და ზანურის ნაცვლად სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ მხარეებში ქართულმა ენამ მოიკიდა ფეხი, სუფსის გვაბრათი (დაახლოებით X-XII ს.ს.), ხოლო ბახვის წყლის ხევის გვაბრათი, გასულ საუკუნემდე შემორჩა, ვიდრე იმდროინდელი ხელისუფლება მისთვის გაუგებარ გვაბრათს ბოროტად არ შეახებდა ხელს და ამ ძვირფას საგეოგრაფიო სახელს ისტორიის სანაგვეზე არ მოისროდა. ქვეყნის წარსულში ჩაუხედავნი სრულებით არ ნანობენ ამ სიავეს და პირიქით, სიკეთედაც აცხადებენ, რადგან მათთვის გაუგებარი სოფლის ძველი სახელი ტრადიციიდან ამოძირკვეს.

ასე ხანგრძლივად არ უარსებია სუფსის გვაბრათს, თუმცა მას ძალიან ადრე წვდნენ, მაგრამ სრულებით მაინც არ გაწირეს, რადგან იგრძნეს, რომ ამ ტრადიციის უარყოფა მათთის დიდი დარტყმა იქნებოდა და სვანური „გვაბრათი“ ქართულად სავსებით სწორად „ბუკად“ თარგმნეს.

ფაქტი გვიან საუკუნეებს ვერ ჩაცდება, რადგან საამისოდ ჩვენი მატიანეები დუმან. ბუკისციხე ჩვენს საისტორიო

შეხვედრა იური სიხარულიძესთან №2 საჯარო სკოლაში

წყაროებში XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე არსად არ მოიხსენიება.

სახელი „გვაბარათი“ უფრო ხშირია ადგილთა სახელებში. ერთ-ერთი მათგანი სოფ. გოგოლესუბნის მთიანეთშიც დასტურდება („ნაქერალას“ ძირზე). დღეს ბევრს უკვირს გურიის საგეოგრაფიო სახელებში შენახული სვანური ელემენტების სიხშირე, მაგრამ ეს ჩვეულებრივი ამბავია.

იური სიხარულიძე,
პროფესორი.

გოშველი

გოშველი სოფელ ექადიის პატარა უბანია. „ექადია შუა გურიის გამორჩეული სოფელი იყო. მას სხვა სოფელთაგან საუცხოო ბუნებრივი მდებარეობა გამოარჩევს, რასაც მის ადრეულ ისტორიაშიც შეუსრულებია თავისი როლი“ (იური სიხარულიძე). გვიანი შუა საუკუნეებიდან სოფელი ორად იყო გაყოფილი ქვემო და ზემო ექადიად. სოფლის ამ ნაწილებს ერთმანეთისაგან მდინარე შხვარაშხურა მიჯნავდა.

სოფელი ექადია და მისი ცალკეული უბნები: ბასრა, გოშველი, ჯაგვასოული, ანასოული, ვაშტიალი, სარძიკველაი, ბეგო, ნაბახჩვარი, ფიჩხისჯვარი, ლაითური, სპოტიეთი, ტოლაბაკური, ძლაბლოვანი? და სხვა უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. ჩვენ დრომდე მოაღწია საკუთვრივ ექადიამ ახლა უკვე „უბნად“ ქცეული და დამკვიდრებული და მისგან გამომდინარე პატარა უბნებმა ბასრამ და გოშველმა რომლებიც გადაურჩნენ მტრის არაერთ შემოსევებს.

ბასრა ექადიის ერთი პატარა უბანია, ეს წინათაც ერთი პატარა უბანი ყოფილა, ის მდებარეობდა იქ, სადაც მდინარე ბჟუჟი და აჭისწყალი ერთვის ერთმანეთს, მის აღმოსავლეთ ნაპირას. ჯერჯერობით ცნობილი არ არის თუ რა მოტივით დაერქვა ბასრა. აქვეა პატარა ნაკვეთი უბანი, რომელიც წინათ ნაკაიძეების უბნის სახელით იყო ცნობილი, აქვეა მაღლობიც, რომელსაც ნასიმაგრევს ეძახდნენ, ჩამოდის პატარა მდინარე აგიდაყვა. ექადიას ეკუთნოდა სოფელი კვაჭალათის ნაწილი. სახელწოდება კვაჭალათის შესაძლებელია ქვიანი ჭალა დაედოს საფუძვლად.

უბანი გოშველი – სახელწოდება გოშველი მაკარი თავდუმაძეს (მუზეუმის ყოფილი მეცნიერ თანამშრომელი) განმარტებით, უნდა მომდინარეობდეს ღორისა და შველისაგან, რომელიც გოშველის ტყეში დიდი რაოდენობით იყო, ტყეებში უზარმაზარი მუხისა და წიფლის ხეები მდგარა და ზოგი წაქცეულიც კი ისეთი დიდი იყო, რომ მასზე ვერ გადახვიდოდი და გარს უნდა შემოგევლო. გადმოცემით, მოსახლეობის ნაწილი ჯგუფებად იკრიბებოდნენ და ტყეში მიდიოდნენ და ერთ საათში ფუთობით წაბლსა და წიწიბურას კრეფდნენ. ადგილობრივ მოსახლეობას ტყეში მარტო წასვლა ეშინოდათ, რადგან ტყეში შეიძლება მგლების ხროვას გადაყოდენ. იქვე იყო პატარა უბანი, რომელიც „ჯაგვასოულის“ სახელს ატარებდა. ჯაგვასოული, გოშველი, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ადრე ტყეებით ყოფილა დაფარული. საინტერესოა ის, რომ ჯაგვასოულის მიდამოში ტყეში აღმოჩენილი ყოფილა მარანი ქვევრებით. 85 წლის მოხუცის ზინო მგელაძე-სურგულაძის გადმოცემით: (ჩანაწერი გაკეთებულია XX საუკუნის 60-იან წლებში) ჯაგვასოულზე, ანასოულზე და ოთარისსოულში ურიები ცხოვრობნენ.

ექადიის ტერიტორიის ნაწილი დაბლობისაგან შედგება და ერთ უბანს მხატვრის ჭალა ეწოდება, როგორც ეტყობა აქ მხატვრის გვარის მატარებელი ხალხი ცხოვრობდა. შემდეგ ტევრის სახელწოდებასაც ატარებდა, რადგან სანამ საყანე ფართობად აითვისებდნენ, აქ თხმელის ტანაყრილი ტევრი ყოფილა. ექადიის ჩრდილო ფერდობზე დავაკებას „სამჭადეა“ ეწოდებოდა. იყო ადგილები „ნაბაკებისა“ და „სამწვადის“ სახელწოდებით. ანასოულის მიმდებარე ერთ-ერთ ადგილს „თვბერიძისეული“ ერქვა.

მაკარ თავდუმაძის ცნობით, გარდა იმისა, რომ ანასოულის და ზემოთ ჩამოთვლილი დასახლებების ტერიტორიებზე მოიპოვებოდა ძველი დროის დასახლებების ნაშთები (ქვევრები, თიხის სარკოფაგები), რამდენიმე ადგილას იყო ნაეკლესიევი: თედორეთი, ბეგოლას, ჭანიეთის მახლობლად, ჩოლოქის პირად მდებარე ბერცობი. თედორეთში ეკლესია თლილი ქვისაგან ყოფილა აშენებული და მოჩუქურთმებული.

ასეთია ზოგადად ექადიის მცირე ტოპონიმიკა.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მცველი

საუკუნეთა სიღრმიდან

ძველი აბანოების ნაშთები ქ. მახარაძეში

ქალაქ მახარაძის ცენტრალურ ნაწილში, იქ, სადაც სტალინის სახელობის მოედანი უერთდება გურიისა და ცხაკაიას ქუჩებს, მიმდინარე წლის ოქტომბერში, ქალაქის მოედნის კეთილმოწყობის მშენებლობის დროს, ბულდოზერით მიწის მუშაობისას, აღმოჩნდა 400 კვადრატულ მეტრზე აღმოჩნდა ძველი ნაგებობის ნაშთი.

შენობის დათვალიერებამ ცხადყო, რომ საქმე გვაქვს ძველი აბანოს ნაშთებთან, რომლის მსგავსი ცნობილია საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის I საუკუნიდან გვიანდელ დრომდე. ამ აბანოდან, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო შემორჩა ქვედა სართული – გასათბობი.

მიწის ზედაპირიდან კარგად ჩანს აბანოს ღუმელი თაღოვანი გადახურვით. თაღი აშენებულია რადიალურად დაწყობილი თხელი აგურებისაგან, რომლებიც თეთრი შემაკავშირებელი ნივთიერებით არის დაკავშირებული. ამ თაღის საფუძველი 2,8 მეტრს შეადგენს, წყობის სისქე – 65 სანტიმეტრს. ჩრდილოეთით ჩანს კედლის ნაგებობაში დატანებული თიხის მილები, რომელთა დიამეტრია 10-12 სანტიმეტრი. მილების შიგნითა ზედაპირი დაფარულია ჭვარტლით. აღმოჩენილია ქვის ფილებისაგან ქვედა სართულის გადახურვა – მეორე სართულის იატაკი. ქვის ფილების ზომაა 75X35X10 სანტიმეტრი. ამ ფილების შიგნითა ნაწილი დაფარულია ჭვარტლით. ქვის ფილებიანი გადახურვა დაფუძნებულია ერთი მეტრი სიმაღლის სვეტებზე, რომლებიც თხელი აგურისგან არიან აგებულნი (26X26 სანტიმეტრი) და შეკავშირებულნი არიან თეთრი შემაკავშირებული ნივთიერებით. ამგვარი სვეტები ქვედა სართულში, როგორც ჩანს, ბევრია.

ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მეორე იარუსში აღმოჩნდა საბაზანო იატაკი, რომლის ზედაპირი მოყვითალო-მავარდისფრო ხსნარით არის დაფარული. ამ ადგილს უკავშირდება ჰორიზონტალური მილები. ნაგებობის ძირითად მასალასთან ერთად გამოყენებულიარიყის ქვა შემაკავშირებელი ნივთიერებით (სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში). ნაგებობაში გამოყენებულია ორი სახის შემაკავშირებელი ნივთიერება–თეთრი სილიანი და მოყვითალო-მოვარდისფრო. როგორც ჩანს, ნაგებობა შემკული იყო ქვის სვეტებით, რასაც მოწმობს აქ არსებული ერთ-ერთი ფრაგმენტი.

ქ. მახარაძეში აღმოჩენილი აბანო, ისევე, როგორც საქართველოში აღმოჩენილი სხვა აბანოები, ორიარუსიანია – ქვედა გასათბობი ნაწილი და ზედა საბაზანო. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ამ ტიპის აბანოები საქართველოში გვხვდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან დღემდე (არმაზის ხევი, ბიჭვინთა, კახეთი, დმანისი, ქვემო ჭალა, ახალციხე და სხვა).

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით აბანოს ტერიტორიის სამხრეთით ჩამოდიოდა მდინარე ბჟუჟი, რომელიც შემდეგ გადაუშვიათ სხვა კალაპოტში. ეს ფაქტი საჭიროებს შესწავლას. თუ ზემოთქმული სწორია, მაშინ აბანოს მდებარეობა სავსებით ბუნებრივი იქნებოდა. არ არის გამორიცხული, რომ აბანო მინერალური წყლებისთვისაც ყოფილიყო გამოყენებული. ესეც შესწავლას მოითხოვს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მახარაძის რაიონის ტერიტორია ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი, ქალაქის ისტორია ნაკლებად ვიცით.

თუ თვალს გადავავლებთ XVIII-XIX საუკუნეების ისტორიკოსების ცნობებს, ვახუშტი ბაგრატიონის, დ. ბაქრაძის, დიუბუა დე მომპერიესის ნაწარმოებებს, ისინი საინტერესო ცნობებს იძლევიან ქ. მახარაძეზე. მაგალითად, გეოგრაფ-ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი თავის გეოგრაფიაში ოზურგეთის შესახებ ამბობს: „ამ წყალზედა (ბჟუჟი) შემოქმედის ქვევით არის ოზურგეთის სასახლე დიდშენი კეთილ პალატოვანი გურიელისა.“

როდესაც ვახუშტი ეხება გურიელის სასახლეს, მხედველობაში აქვს მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სამსართულიანი სასახლის ნაშთი, რომელმაც განიცადა რეკონსტრუქცია. არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ქ. მახარაძეში აღმოჩენილი აბანოს ნაშთები იყოს დიუბუას მიერ XIX საუკუნის დასაწყისში ნანახი გურიელის აბანოს ნაშთები. ასევე არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ეს აბანო გვიან ანტიკური, ან ადრე ფეოდალური ხანისა იყოს, როგორც, მაგალითად, ახლომდებარე ვაშნარის ნაქალაქარი, რადგან დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც ვაშნარი 1873 წელს ნახა, აღნიშნავდა, რომ აქ ყველაზე უფრო არის შენახული აბანოებიო.

ამგვარად, ქ. მახარაძეში აღმოჩენილი აბანოები უნდა იქნას შესწავლილი.

ნ. ხოშტარია,
ისტორიის მეცნიერებათა
კანდიდატი,
გ. თავაძე,
მახარაძის მხარეთმცოდნეობის
მუზეუმის დირექტორი.

გაზეთი
„ლენინის დროშა,“
24 ნოემბერი, 1957 წ.
№139 (3024), გვ. IV

სს "საქართველოს ბანკის" მცირე და საშუალო ბიზნესის საბანკო მომსახურების დეპარტამენტი აცხადებს ვაკანსიებს ოზურგეთში შემდეგ თანამდებობებზე:

საკრედიტო ასისტენტი;
საკრედიტო ექსპერტი;

საკრედიტო ასისტენტი

ძირითადი მოვალეობები:

მომხმარებლებთან ადგილზე ვიზიტის დაგეგმვა და განხორციელება;
მომხმარებლებისათვის ბანკის მომსახურების სარგებლიანობის და საბანკო პროდუქტების პრეზენტაცია;
მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება და ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
პერიოდული უკუკავშირის მიღება პოტენციური მომხმარებლებისგან;
სარეკლამო ბუკლეტების და ბროშურების დარიგება პოტენციური მომხმარებლებისათვის.

სავალდებულო საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი ან დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
სამუშაო გამოცდილება: სასურველია მინ. 3 თვიანი გამოცდილება, გაყიდვების და/ან მცირე ბიზნესის სფეროში.

აუცილებელი ცოდნა და უნარები:

კომპიუტერული საოფისე პროგრამების სრულყოფილი ცოდნა;
ქართული მშობლიური. რუსული კარგად, ინგლისური სასურველია (მაგრამ არა აუცილებელი);
მომსახურების და გაყიდვების კარგად განვითარებული უნარები;
კარგად განვითარებული კომუნიკაციური უნარები - აზრის ნათლად და ლოგიკურად გამოხატვის უნარი წერით და ზეპირად;
ორგანიზებულობა, ენერგიულობა, დაგეგმვის, სამუშაო მიზნების სწორად განსაზღვრის და დროის დაგეგმვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი, ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება.

საკრედიტო ექსპერტი

ძირითადი მოვალეობები:

მომხმარებლის მოთხოვნის იდენტიფიცირება, შესაბამისი პროდუქტის შეთავაზება, ამ პროდუქტის უპირატესობის ახსნა;
საჭიროების შეთხვევაში პირდაპირი მარკეტინგის წარმოება;
ჯვარედინი გაყიდვები - კომპანიის პროდუქტების სრული სპექტრის შეთავაზება;
მომხმარებლის ბიზნეს საქმიანობის, ფინანსური მდგომარეობის შესწავლა/ანალიზი;
საკრედიტო განაცხადის მომზადება და კომიტეტზე წარდგენა;
სესხის რეგისტრაცია/გაცემა;
პორტფელის მონიტორინგი;
პრობლემური სესხის მართვა;
საკრედიტო ასისტენტის ონ-ჯობ ტრენინგი და შედეგის შეფასება.

სავალდებულო მოთხოვნები:

განათლება: უმაღლესი, სასურველია ეკონომიკა, ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ტექნიკური სპეციალობები;
სამუშაო გამოცდილება: მინ. 6 თვიანი მუშაობის გამოცდილება დაკრედიტების მიმართულებით ბანკში და/ან საკრედიტო ორგანიზაციაში.

სავალდებულო ცოდნა, უნარები:

საკრედიტო პროდუქტების ცოდნა;
დაკრედიტების იურიდიული ასპექტები (სავალდებულო დოკუმენტაცია);
ფინანსური ანალიზი (ბალანსი, მოგება-ზარალი, ფულადი ნაკადების უწყისი);
გაყიდვების ტექნიკა;
ენები: ქართული თავისუფლად (გამართული ლიტერატურული ენა), სასურველია რუსული ენის ცოდნა;
საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა;
გაყიდვების უნარი, დამარწმუნებელი, არგუმენტირებული და გამართული ვერბალური კომუნიკაცია;
სამუშაოს და დროის დაგეგმვის უნარი;
სხარტი, ლოგიკური, ანალიტიკური აზროვნება, ინტუიცია;
მიზანდასახულობა, განვითარების სურვილი;
პრინციპულობა, გუნდური მუშაობის უნარი, მოქნილობა, ინიციატივა, ენერგიულობა, აქტიურობა;
პასუხისმგებლობის გრძნობა, ორგანიზებულობა, მოწესრიგებულობა, ყურადღება დეტალების მიმართ, სტრესულ, დაძაბულ სამუშაო გარემოში მუშაობის უნარი.

სააპლიკაციო პროცედურა:

დაინტერესებულ კანდიდატებს გთხოვთ გამოგზავნოთ სს "საქართველოს ბანკის" სააპლიკაციო ფორმა (შეგიძლიათ აიღოთ მისამართზე: ოზურგეთი, გურიის ქ. №18, სს "საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვის-ცენტრი) ელექტრონული ფოსტით მისამართზე: რეგიონვჯობ ბოგგე (გთხოვთ მიუთითოთ ვაკანსიის სახელწოდება, რომელზეც აგზავნით სააპლიკაციო ფორმას.)

მონაცემების დატოვება შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე:

ოზურგეთი, გურიის ქ. №18, სს "საქართველოს ბანკის" ოზურგეთის სერვისცენტრი

„ჩვენ ვცხოვრობთ ერთ სახლში“

ნინო ნიკოლაიშვილი

დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის - „ვსწავლობთ ტოლერანტობას“ - დასკვნითი ღონისძიება მოეწყო. ღონისძიება ფილანტროპიის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა და თემში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციას და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად. სკოლის ფოიეში მოეწყო დიდი გამოფენა-დათვალიერება, სადაც კუთხე გამოეყო თითოეულ ჯგუფს: გურულრაჭველებს, აჭარლებს, სომხებს, აზერბაიჯანლებს და მაჰმადიან მესხებს. თითოეულმა ჯგუფმა გამოფინა საკუთარი კუთხისათვის დამახასიათებელი ტრადიციული კერძები, საყოფაცხოვრებო ნივთები და შეასრულა ტრადიციული სიმღერები და ცეკვები.

პროექტი დაბა ნარუჯის საჯარო სკოლაში 2012 წლის იანვრის თვიდან ხორციელდება. ხელმძღვანელი სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი თინა ასათიანი გახლავთ. მადლობა გადაუხადეს მონაწილე ბავშვებმა, მშობლებმა სკოლის დირექტორს მედეა ობოლაძეს, თინა მასწავლებელს, სტუმრებს ასეთი ლამაზი ღონისძიების მხარდაჭერისთვის.

პროექტი დაფინანსდა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში. განხორციელდა პროექტ „ჰარმონიას“ საქართველოს ფილიალის მიერ. დაფინანსებულია აშშ საერთაშორისო განვითარების საგენტოს მიერ.

გურიის რეგიონში პროგრამის პარტნიორია არასამთავრობო ორგანიზაცია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი.

გურიის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში

ოზურგეთის სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა გურიის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში, 1995-96 და 2000 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა შორის, რომელშიც რეგიონის სამთავე მუნიციპალიტეტის გუნდი მონაწილეობდა. საბოლოოდ შედეგით პირველი ოზურგეთის სპორტსკოლის გუნდი იყო. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები და ფინალისტები გახდნენ.

2000წ.

32 კგ. I. საბა მამალაძე (ოზურ); II. ართილაყვა ბექა (ლანჩხ.);
35 კგ. I. შოთა სადარაძე (ოზურ.); II. ჯაბა ჯიმშერაძე (ოზურგ.);
38 კგ. I. ალეკო მაჭარაშვილი (ოზურ.); II. გიგა ხარაბაძე (ოზურ);

1995-1996 წ.წ.

42 კგ. I. რეზო ბორჩხაძე (ოზურ.); II. ერეკლე ბაბილოძე (ოზურ.);
46 კგ. I. ზურაბ ირემაძე (ოზურ.); II. შოთა ღლონტი (ოზურგ.);
50 კგ. I. კახა ირემაძე (ოზურ.); II. მამუკა ესაძე (ოზურგ.);
54 კგ. I. გია გიორგაძე (ოზურგ.); II. ლაშა გუბელიძე (ჩოხატ.);
58 კგ. I. გუგა კვერღელიძე (ოზურგ.); II.ნიკა ჩხაიძე (ოზურ.);
63 კგ. I. ზურაბ ჯიშკარიანი (ოზურ.); II. მიშიკო ნასყიდაშვილი (ლანჩხ.);
69 კგ. I. ბორის ჯინჭარაძე (ჩოხ.); II. ბერიძე ანრი (ლანჩხ.);
76 კგ. I. დათო უნგიაძე (ჩოხატ .); II. გიგა ვაჩნაძე (ოზურ.);
85 კგ. I. ვალერიან ანდღულაძე (ჩოხ.); II. ედი ღლონტი (ოზურ).

„არწივებმა“ გაიმარჯვეს

ოზურგეთის „არწივებმა“(ბ ლიგა) ქობულეთის მორაგბეთა გუნდი მიიღეს და დაძაბულ ბრძოლაში 15:14 დამსახურებულად გაიმარჯვეს. უნდა აღინიშნოს, რომ ქობულეთს კარგი გუნდი ჰყავს და ამ გუნდის 4 მოთამაშე საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. რაც შეეხება ოზურგეთის „არწივებს“, იგი ძალიან ახალგაზრდა გუნდია და მორაგბეებს გამოცდილების შეძენა სჭირდებათ. მათ მონდომება არ აკლიათ და მოედანზე ბრძოლის ჟინს ავლენენ. ქობულეთლებთან მატჩში თავი გამოიჩინეს ენვერ ჭკუასელმა, ზურაბ ჟორჟოლიანმა, მამუკა ჩანჩიბაძემ.

ა ლიგის „არწივები“ თბილისში არმიელთა გუნდს შეხვდება. ეს კლუბი შარშან საქართველოს ჩემპიონი გახდა. ოზურგეთლება კი ზამთარში ცუდი ამინდების გამო, მოსამზადებელი ეტაპი ვერ გაიარეს, ამჟამად კი 5 მოთამაშე ტრამვირებული ჰყავთ.

თუმცა მორაგბეები და კლუბის ხელმძღვანელობა (პრეზიდენტი ზვიად უნგიაძე, მწვრთნელი მამუკა ჯანაშია) ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და წელს „არწივებისაგან“ კარგ შედეგს ელოდებიან.

გასწორება

გაზეთ „ალიონის“ 16 აპრილის ნომერში (№13-14) მე-6 გვერდზე დაბეჭდილი ლექსის „მეორე ტყვია“ ავტორი არის **მურმან დუნდუა.** ტექნიკური შეცდომის გამო ლექსის ავტორს ვუხდით ბოდიშს.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru